ოთხშაბათი
7
აპრილი,
№ 10, 1993 წ.

ჯიხა

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1992 წლის დეკემბრიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განცხადება

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო, რომელსაც არ სურს ობიექტურად გაერკვეს ეშერაში ეგრეთ წოდებული „სეისმური ლაბორატორიის" ირგვლივ შექმნილ ვითარებაში, განაგრძობს საქართველოს მხარეზე იარაღის ძალით ზეწოლას.

ამ საქმეში რუსეთის შეიარაღებული ძალები იყენებენ ყველაზე თანამედროვე საუ „აკაციის" ტიპის იარაღსა და სუ-27 ტიპის თვითმფრინავებს, რომლებითაც არ არიან შეიარაღებული აფხაზი სეპარატისტები, მაგრამ რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ქალაქ სოხუმთან მიმდინარე საომარ მოქმედებაში, რაც აყალბებს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს განცხადებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მისი მკაცრი ნეიტრალიტეტის შესახებ.

ამის დამამტკიცებელია თვით რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს განცხადება, მოგვყავს ციტატა: „აშკარად პროვოკაციული მოქმედების პასუხად ჰაერში აიჭრა სუ-25 ტიპის ორი თვითმფრინავი. მათ სარაკეტო ჭურვების დამიზნებითი დარტყმები მიაყენეს ნაღმსატყორცნებისა და ჰაუბიცების ბატარეების საცეცხლე პოზიციებს მდინარე გუმისთაზე, რომლებიც არ მდებარეობენ დასახლებულ პუნქტში".

გაცნობებთ, რომ ჩვენი ბატარეებისათვის ამ დამიზნებითი დარტყმების მოყენების შედეგად დაიღუპა რვა კაცი, მათ შორის ექვსი მშვიდობიანი მოქალაქე, 12 კაცი დაიჭრა, დაინგრა ოთხი სახლი. დაღუპულთა შორის არის აფხაზეთის სახალხო არტისტი ეთერ კოლონია, ცნობილი აფხაზი მწერლის ივანე თარბას მეუღლე.

ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს განცხადების არგუმენტაცია ნაღმ სატყორცნებისა და ჰაუბიცების ბატარეების მოსპობის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს და არ ადასტურებს იმას, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები აფხაზეთში იცავდნენ ნეიტრალიტეტს.

რაც შეეხება გამოთქმას ქართველთა ჯარების „აშკარად პროვოკაციული მოქმედება", იბადება ასეთი კითხვა: რისთვის სჭირდება საქართველოს მხარეს პროვოკაციულად გამოიწვიოს რუსეთის ჯარები თავისი ძალების განლაგებაზე დარტყმების მოყენებისათვის? ეს მოგვაგონებს თავდაცვის მინისტრის გენერალ პ. გრაჩოვის წინათ გაკეთებულ განცხადებას — ქართველებმა რუსეთის თვითმფრინავების ფერად გადაღებეს თავიანთი საბრძოლო მანქანები და თვითონვე ბომბავენ საკუთარ ქალაქ სოხუმს.

უფრო ლოგიკურია ვილაპარაკოთ აფხაზ სეპარატისტთა პროვოკაციულ მოქმედებაზე, რომლებიც რუსეთის ჯარების იარაღით ანადგურებენ ქალაქ სოხუმის დაცვას მისი შემდგომი აღებისათვის.

დაბოლოს, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროსათვის კარგად არის ცნობილი, რომ იმ ადგილას, სადაც განლაგებულია საჯარისო ქვეგანაყოფი კაპიტან საფიულინის მეთაურობით, არავითარი სეისმური ლაბორატორია არ არის და არც არასდროს ყოფილა, ნამდვილი ლაბორატორია მდებარეობს სოფელ კუტიშხასთან, იმ ადგილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელსაც რუსეთის მხარე იყენებს საბაბად ქართველთა ჯარების პოზიციებისა და ქალაქ სოხუმისათვის დარტყმების მისაყენებლად.

ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული საჯარისო ქვეგანაყოფის ყოფნა სოფელ კუტიშხის ყაზარმაში არ არის აუცილებელი და რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის წარმოქმნილი დაძაბული ურთიერთობის შენელების მიზნით შეიძლება მისი გაყვანა ბომბორის აეროდრომის საპარაშუტო-სადესანტო პოლკის დისლოკაციის რაიონში.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო შეშფოთებულია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს აგრესიული განწყობილებით საქართველოს ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ებრძვის სეპარატისტებს და იცავს თავისი ისტორიული სამშობლოს მთლიანობას.

შეშფოთებულია იმითაც, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები უკვე კარგა ხანია ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე აწარმოებენ გამოუცხადებელ ომს „მათ ხელთ არსებული მთელი საშუალებებით" აფხაზ სეპარატისტთა სასარგებლოდ საქართველოს მეორე საარმიო კორპუსის წინააღმდეგ, რომელიც იცავს ქალაქ სოხუმს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო აფრთხილებს რუსეთის მხარეს, რომ მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ქალაქ სოხუმის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აქციის მომზადებისათვის, რამაც შეიძლება მისცეს დასაბამი შეუქცევად პროცესებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

1993 წლის 2 აპრილი.

მიმართვა

ოფიცრებსა და რიგითებს, დებს, ძმებს, შვილებს!
სოხუმის ყველა მოქალაქეს!
თანამემამულენო!

შვიდ თვეზე მეტი გავიდა, რაც აფხაზეთში სისხლი იღვრება. ყოფილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური სისტემიდან შემორჩენილმა დესტრუქციულმა ძალებმა შესძლეს აფხაზეთში ძმათამკვლელი ომის გაჩაღება. ისინი ვერ შეეგუენ იმპერიის დაშლას, რუსეთის ჰეგემონიის დაკარგვას საქართველოში. დამოუკიდებელი, თავისუფალი და ერთიანი საქართველო მათთვის წარმოუდგენელი და მიუღებელია.

სინანულის გრძნობებს იწვევს აფხაზი ლიდერების გაუცნობიერებლობა იმისა, თუ რომელ ნაპირს მიაყენონ თავისი ხალხი. სამწუხაროდ, ნაპირი, რომელიც მათ აირჩიეს ერთობ ციცაბოა, და მასზე ფეხის მოკიდება აფხაზი ხალხისათვის დამღუპველია. სწორედ ამ ნაპირიდან მოსული კაზაკები და სხვა ეროვნების „მშველელები", პრაქტიკულად კი დაქირავებული მკვლელები, ძმათამკვლელობისაკენ მოუწოდებენ მათ. „რამდენიც მეტი — მით უკეთესი!", „აფხაზეთი უაფხაზოდ და უქართველოდ!" — ეს მათი მამოძრავებელი დევიზია.

ყველაფერი ეს ჭეშმარიტებაა და ის გუდაუთელი ლიდერების ნამუსზე იყოს. ჩვენ ჩვენი საკმაო პრობლემები გვაქვს და უფრო ამაზე მინდა გაგიზიაროთ ჩემი აზრი, მამულიშვილნო!

თავსმოხვეულმა ომმა დიდი გაჭირვების წინ დაგვაყენა სრულიად საქართველო და სოხუმელები. ჩვენს მოქალაქეებს მოაკლდათ პური, სითბო, ელექტროენერგია, წყალი. ქართული ჯარი ყალიბდება რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში. საოცარი მოთმინებით, გაგებით და უპრეტენზიოდ გადააქვთ სოხუმელებს აქ მოკლედ ჩამოთვლილი ურთულესი პრობლემები.

ყოველივე ამისათვის მუხლმოყრილი გიხდით მადლობას.

აქვე უნდა ვთქვა, რომ საქართველო ღირსეულად აფასებს იმ ისტორიულ მისიას, რომელიც თავის თავზე აიღო სოხუმისა და მიმდებარე რაიონების ახალგაზრდობამ, მათმა მამებმა. ჩვენი ბრიგადის შემადგენლობაში ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოკლებულნი არიან ელემენტარულ საცხოვრებლო პირობებს, ნორმალურ კვებას, ტანსაცმელს სითბოს, თავგანწირვით ასრულებენ აფხაზეთში მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ა. წ. 15-16 მარტს მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული მასირებული შემოტევისას ენით აუწერელი, თავგანწირული ბრძოლის მაგალითები უჩვენეს ჩვენმა ვაჟკაცებმა. თაობიდან თაობას გადაეცემა მათი გმირობის ამბავი. მე შეგნებულად არ ჩამოვთვლი მათ სახელებს, რამეთუ ამ შეტაკებაში მონაწილე ყველა მებრძოლი ნამდვილი რაინდი და გმირია.

სოხუმის დაცვას თავი შესწირა ათეულობით ახალგაზრდამ, კიდევ უფრო მეტია დაჭრილთა რიცხვი.

ქართული დროშა მუდამ მოწიწებით იქნება დახრილი მათ წინაშე, ვინც თავი შესწირა საქართველოს მთლიანობის დაცვასა და თავისუფლების საქმეს.

მე სულით-გულამდე შემძრა ბრძოლაში დაღუპული ბიჭების ზევრი მშობლის მოქმედებამ. ისინი, შვილების დაღუპვით უზომოდ შეწუხებულნი, არ კარგავენ კაცურკაცობას. ნანობენ, რომ მათი შვილები ვერ მოესწრებიან ომის დასასრულს და გვთხოვენ მივცეთ მათ საბრძოლო იარაღი, რათა გააგრძელონ შვილების მიერ დაწყებული საქმე და მიიყვანონ ომი საბოლოო გამარჯვებამდე. ასეთი გული ჭეშმარიტ მამულიშვილებს აქვთ.

სოხუმელებო! არ ვიქნებოდი მართალი თქვენთან, რომ არ ვთქვა გაკიცხვის სიტყვები მათ მიმართ, ვინც ამას იმსახურებს. ეს შეეხება მათ, ვინც მამულის დაცვას განზე დგომას და ზოგჯერ მარადიორობას ამჯობინებს, მათაც, ვინც ამ მძიმე წუთებში ზურგი გვაქცია, ვერ შეუგნია, რომ ამგვარ მოქცევას მათ არ აპატიებს არც ღმერთი და არც სამშობლო.

მათ გასაგონად ვამბობ: შეჩერდით! დაფიქრდით! გონს მოეგეთ! ვისაც კიდევ შეგრჩენიათ ნამუსის ნატამალი, გვერდში დაგვიდექით! თუ ეხლა, ამ მძიმე წუთებში არა, მაშ როდის?

მე მჯერა სოხუმელებისა, მჯერა, რომ თქვენ არც ეხლა შედრკებით, კვლავაც გამოიჩენთ შემართებას და მოთმინებას.

ყოველ კრიზისს თავისი ბოლოც აქვს.

კვლავ ამოვა მზე, კიდევაც დადგება მზისდარი, განათდება ჩვენი ქუჩები და სახლები, დაგვიდგება მონატრებული მშვიდობა. ჩვენს მხარეზეა ღმერთი, სამშობლო და სიმართლე! ჩვენ გავიმარჯვებთ!

გენო ადამია,

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაური, გენერალ-მაიორი.

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრის

ცნობა

2 აპრილს, ნოვოროსიისკიდან სოხუმში კომერციულ რეისს ასრულებდა რუსეთის გემი „რიხტი", რომელსაც ბუქსირით მოჰყავდა საქართველოს სანაოსნოს კუთვნილი „რიხტერი", დატვირთული ხახვით და კარტოფილით. ბიჭვინთის ტრავერსზე, სანაპირო ზოლიდან 30 მილის სიღრმეში გემებს მიადგა მოწინააღმდეგის ორი კატერი, მათ იარაღის მუქარით აიძულეს გემები გაჩერებულიყვნენ და გაჩხრიკეს ისინი. ამის შემდეგ მათ მოინდომეს „რიხტერის" გატაცება, მაგრამ იძულებული გახდნენ განხრახულზე უარი ეთქვათ მას შემდეგ, რაც რუსეთის გემის კაპიტანმა ეთერში გადასცა უბედურების სიგნალი „SOS". გამთენიისას გემი „რიხტი" და ძასხედ გაძობძული „რიხტერი" სოხუმის პორტში უვნებლად შემოვიდნენ.

დილისთვის მდინარე გუმისთაზე აქტიური საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია. 12 საათისთვის კი გააქტიურდნენ მოწინააღმდეგის სნაიპერები. რომელთა ცეცხლით დაიღუპა ერთი ჩვენი მებრძოლი, მოგვიანებით მოწინააღმდეგემ ჩვენს პოზიციებს ცეცხლი დაუშინა ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული დანადგარი, ე. წ. „პტურსებიდან". 3 საათისთვის კი ეშერის მიდამოებში მოწინააღმდეგემ დაიწყო თავისი ძალების აქტიური კონცენტრაცია და გახსნა ინტენსიური ცეცხლი ნაღმსატყორცნებიდან და ყუმბარსატყორცნებიდან. საქართველოს შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეს ცეცხლითვე პასუხობდნენ. პოზიციური ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა, 19 საათისთვის კი აქტიური საბრძოლო მოქმედებანი თითქმის სრულიად შეწყდა.

დღესვე სოხუმში შედგა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ სანდრო კავსაძის შეხვედრა გუდაუთის დაჯგუფების წარმომადგენლებთან. შეხვედრაში სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად მონაწილეობდნენ სამედროებიც. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაპირისპირებულ მხარეთა შორის უახლოეს დღეებში გაიცვალონ წარმომადგენლები, რომლებიც დაპირისპირების ზონებში შეისწავლიან მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობის საკითხს და თავის რეკომენდაციებს წარუდგენენ ტყვეთა და მძევალთა გაცვლის კომისიას.

* * *

3 აპრილს. დღის პირველი ნახევრის განმავლობაში მდინარე გუმისთაზე აქტიურ საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია, ისმოდა მხოლოდ იშვიათი სროლა. შუადღისთვის სოხუმს მაღალ სიმაღლეზე გადაუფრინა

(დასასრული მე-2 გვ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმის გარნიზონის მეთაურის ცნობა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ქალაქ სოხუმზე წარუმატებელი ავანტიურული შტურმის მცდელობის შემდგომ პერიოდში გუდაუთის მთავრობა, კონიუნქტურული მიზნებიდან გამომდინარე, ხელოვნურად აჭიანურებს დაღუპულთა გვამების წასვენებას. იგი ამცირებს დანაკარგის მაჩვენებელ ციფრს, რათა უძიზხოდ დაღუპული ადამიანების გამო არ გამოიწვიოს მოსახლეობის სამართლიანი რისხვა და არ იქნას მიცემული პასუხისგებაში საკუთარი ხალხის გენოციდისათვის. მან ბედის ამარად მიატოვა დაღუპული მეომრები და არ ღებულობს ზომებს მათ მისაღებად, ამ საკითხზე მოლაპარაკებებზე იგზავნებიან არაკომპეტენტური პირნი, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილებანი. საომარი მოქმედებების ზონიდან გვამების გამოტანას ხელს უშლიან მოწინააღმდეგის სნაიპერები.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოკლევადიანი შეთანხმების დროს მოწინააღმდეგემ მუხანათურად სიცოცხლეს გამოასალმა რამდენიმე ჩვენი მეომარი, რომლებიც გვამების გამოტანასთან დაკავშირებულ სამუშაოებს ასრულებდნენ, დამახასიათებელია, რომ მსგავს შეთანხმებებს მოწინააღმდეგე პირველად როდი არღვევს. ამასთან ერთად, ადგილი აქვს ქართული მხარის შეურაცმყოფელ დადანაშაულებას გვამების განზრახ არ გადაცემაში, ეს ხდება ანტიქართული განწყობილების შემდგომი გაღვივებისა და სოხუმზე ახალი სისხლიანი შემოტევის პროპაგანდისტული მომზადების მიზნით.

ფაქტები კი საწინააღმდეგოს მოწმობენ, დიდი სიძნელეების ფასად ჩვენს მიერ ჩატარებულია ღონისძიებანი დაღუპულთა გვამების შესაგროვებლად და მათი ვინაობის დასადგენად, ამას თან ზოგ მათგანს აღმოაჩნდა საბუთები:

1. ავიძბა რუსლან იასონის ძე.
2. აკაბა ვიქტორ სტეფანეს ძე.
3. ამფარი ზაურბეკ ალექსის ძე.
4. ალანია რომან ვიქტორის ძე.
5. ავედიანი სურენ ვართანის ძე.
6. ახბა დაურ ვლადიმერის ძე.
7. აცუხბა თემურ ტარასის ძე.
8. აშხაწავა ვიაჩესლავ ვლადიმერის ძე.
9. აშხაწავა ვლადიმერ ვლადიმერის ძე.
10. ბარციცი იგორ დიმიტრის ძე.
11. ბერძენია ვალერი ანატოლის ძე.
12. ბჟეუ გურამ კონსტანტინეს ძე.
13. ბგანბა ვიტალი მაკოს ძე.
14. ბარციცი ალექსანდრე ალექსის ძე.
15. ბერძენია ანატოლი ვალერიანის ძე.
16. გრიგოლია ამირან შალიკოს ძე.
17. გოცერიძე ირინა ალექსანდრეს ასული.
18. გულარია ზურაბ როდიონის ძე.
19. ჯონუა ბათალ არტემის ძე.
20. ჯინჯოლია ანდრია სულიკოს ძე.
21. დბარი ვადიმი (ან ვიტალი) ვიტიას ძე.
(საბუთში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვაში, გაურკვევლად წერია სახელი და მამის სახელი).
22. ჯინჯუა დიმიტრი ანატოლის ძე
23. ძიაპ-იფა რაულ ანატოლის ძე.
24. ძკუია მაქსიმე მიხეილის ძე.
25. ინაფშბა ბორის ტიკუს ძე.
26. ისთამუროვი ალიალი ხამზატის ძე.
27. ჟურკო პავლე ნიკოლოზის ძე.
28. კონჯარია ვიტალი ანდრიას ძე.
29. კოგილცოვი გენადი ნიკოლოზის ძე.
30. კოვე გერმან ბორისის ძე.
31. კუტარბა ვალერი მიხეილის ძე.
32. კვარჩია ნატალია შოთას ასული.
33. კაიტანი რაუფ ჟაგის ძე.
34. დოჩია პავლე მიხეილის ძე.
35. ლათია ჩინჩორ რაშიდის ძე.
36. ლაგვილავა რუსლან შალიკოს ძე.
37. მანცავა რუდიკ თემურის ძე.
38. მარღანია გენადი მასის ძე.
29. მარტიკიანი მიქაელ გრიგორის ძე.
40. მაცაბა ვახტანგ ილარიონის ძე.
41. მალია ჯემალ ვიქტორის ძე.
42. მარტინიუკი კასპარ სტანისლავის ძე.
43. მანია მავრიკ ივანეს ძე.
44. ფილია ოთარი ანატოლის ძე.
45. ფაჩულია მალხაზ ვლადიმერის ძე.
46. ტორჩუა გარი ვიქტორის ძე.
47. თარნავა მერაბ ლეონიდეს ძე.
48. ტრაპიზონიანი ანდრია აშოტის ძე.
39. მარტიკიანი მიქაელ გრიგორის ძე.
50. თარბა ანატოლი ალამის ძე.
51. სიჭინავა დაურ ნათის ძე.
52. სიჭინავა დაურ კონსტანტინეს ძე.
53. სამანჯია იური კონდრატეს ძე.
54. სალარია ნური როსიმოს ძე.
55. ხაბუში ზური სერგის ძე.
56. ხაბუში ვახტანგ მასეს ძე.
57. ხაშბა ალხას ჯალმათის ძე.
58. ხაჯიბა რუდოლფ რომანოზის ძე.
59. ცუშბა ადგურ ედუარდის ძე.
60. ციხიჩბა ნური ლერიანის ძე.
61. ჩან-ოღლი მერაბ ნიაზბეის ძე.
62. ჩან-ოღლი დაურ ნიაზბეის ძე.
63. ჩიჩბა ასლან ვალიკოს ძე.
64. ჭანბა ილიას რუფბეის ძე.
65. ექსუზიანი ეფრემ ისაკის ძე.
66. იუნჩისი ანდრია ფელიქსის ძე.
67. ლაკობა ანატოლი ლეონიდის ძე.

როგორც ამ სიიდან ჩანს, პროპაგანდისტული მტკიცებები იმის შესახებ, რომ ამ ომის მთელი სიმძიმე და დანაკარგები კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას დააწვება, შორსაა სინამდვილისაგან და მხოლოდ დემაგოგიაა.

აფხაზ ხალხს აუნაზღაურებელი დანაკარგები აქვს.

ეს ადამიანები დაიღუპნენ, ისინი გახდნენ თავიანთი პატივმოყვარე მმართველების პოლიტიკური ამბიციებისა და ინტრიგების მსხვერპლნი, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისინი უნდა დაიმარხონ, მით უმეტეს, რომ დათბა და ამასთან დაკავშირებით მწვავედ დგას დაღუპულთა გვამების შენახვის საკითხი, მიუხედავად სიძნელეებისა, მუშაობა დაღუპულთა ვინაობას გასარკვევად გრძელდება. მაგრამ აფხაზთა მხარეს ამჟამად ყველაზე უფრო ადარდებს თვითნაკეთი ორდენებით იმათი დაჯილდოვება, ვინც დამნაშავეა ამ სისხლიანი სასაკლაოს მოწყობაში, ვინც სასიკვდილოდ იმეტებს თავისტომელებს.

ყველა ჩვენი ცდა მოვძებნოთ საერთო ენა აფხაზურ მხარესთან, რათა გადავწყვიტოთ დაღუპულთა გვამების დამარხვის პრობლემა, უშედეგოდ დამთავრდა, ალბათ, ამ საკითხის მოგვარებაში თავისი როლი უნდა შეასრულონ დაღუპულთა ნათესავებმა და ახლობლებმა.

აქვეყნებს რა ამ ცნობას, სოხუმის გარნიზონის სარდლობა აცხადებს, რომ თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას და იძულებული იქნება გვამების დამარხვა განახორციელოს საერთო საფუძველზე.

გ. ადამია.

რადიოსა და ტელევიზიის ცნობით

6 აპრილს, რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე ქ. სოჭში გადაფრენილ საქართველოს დელეგაციას პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას მეთაურობით აეროპორტში დახვდნენ რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. პასტუხოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ნაშუადღევს მოლაპარაკება გაიმართა სასტუმრო „ჟემჩუჟინას" დარბაზში.

რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობს რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი.

ორივე დელეგაციას მთავრობების სახელით დავალებული აქვთ 3 დღის ვადაში განიხილონ მოლაპარაკების ყველა პაკეტი, რაც წინაპირობა იქნება ბ. ელცინისა და ე. შევარდნაძის უმაღლესი დონის შეხვედრისა.

ჩვენმა დელეგაციამ ჩაიტანა შემდეგი საკითხები — კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ჯარის ნაწილების დაუყოვნებელი გამოყვანა; საქართველოს ტერიტორიაზე დროებით დისლოცირებული რუსეთის ჯარის საქართველოდან გაყვანის ვადების დადგენა; სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ.

შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი, რომლებსაც საქართველოს მხრიდან ხელმძღვანელობენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიხეილ უკლება და ფინანსთა მინისტრი კახი პოპიაშვილი.

შეთანხმდნენ, მოლაპარაკების მიმდინარეობისას შეწყდეს ყოველანაირი საომარი მოქმედებები კონფლიქტის ზონაში. რის თაობაზეც პ. გრაჩოვმა პირადად გააფრთხილა ვ. არძინბა.

პ. გრაჩოვს გადაეცა ოფიციალური მიწვევა ე. შევარდნაძისაგან, რაზეც მან განაცხადა — თუ 8 აპრილისთვის რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების ყველა საკითხი მოგვარებული იქნება, 9 აპრილს ის გადაფრინდება თბილისში ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შესახვედრად.

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის პრესცენტრის

ცნობა

დასასრული

სუ-25 ტიპის სამხედრო თვითმფრინავმა, რომელიც ოჩამჩირის, შემდეგ კი უკვე, გუდაუთის მიმართულებით გაფრინდა.

14 საათისთვის მოწინააღმდეგე საგრძნობლად გააქტიურდა და რამდენიმე ეროვნული მძიმე ტექნიკიდან ჩვენი პოზიციების მიმართულებით დაიწყო ჭურვების სროლა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გახსნეს საპასუხო ცეცხლი. პოზიციური ბრძოლა დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა, შემდეგ სროლის ინტენსივობამ იკლო და ბოლოს სრულად შეწყდა. ამ ბრძოლაში მსუბუქად დაიჭრა ორი ჩვენი მებრძოლი.

საღამოსთვის სოხუმქესის მიდამოებში განლაგებულ ჩვენს საგუშაგოებს თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის [illegible] ხოვანი [illegible] ჯგუფები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც ბრძოლაში დაიღუპა, დანარჩენები გაიქცნენ. სამხედრო ნადავლის სახით ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ ჩაიგდეს რაცია, რამდენიმე ავტომატი, ხელყუმბარები და სხვა იარაღი. სამწუხაროდ, მსხვერპლია ჩვენს მხარესაც.

23 საათისთვის სოხუმის აკვატორიასთან გამოჩნდა მოწინააღმდეგის გემი, რომელიც ნაპირთან მოახლოვებას ცდილობდა. სანაპიროს დაცვის ნაწილებმა გემს გაუხსნეს ცეცხლი და აიძულეს იგი ღია ზღვაში მიმალულიყო.

4 აპრილს დღის განმავლობაში მდინარე გუმისთაზე სიმშვიდე იყო შენარჩუნებული და საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია.

21 საათისთვის მოწინააღმდეგემ დაიწყო სოხუმის დაბომბვა. საარტილერიო ჭურვები აფეთქდა ქალაქის ცენტრალურ და კელასურის რაიონებში. მნიშვნელოვნად დაზიანდა რამდენიმე ნაგებობა. დაიღუპა ერთი და დაიჭრა ექვსი მოქალაქე. საპასუხო საარტილერიო ცეცხლმა მოწინააღმდეგე აიძულა სროლა შეეწყვიტა.

საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრასა და გალის რაიონის ჩხორთოლის მიდამოებში. მიუხედავად ბრძოლების საკმაოდ მასშტაბური ხასიათისა, მოწინააღმდეგე მხარეთა პოზიციები ფრონტის იმ მონაკვეთებში არ შეცვლილა.

• • •

5 აპრილმა, ისევე როგორც წინა დღემ, მდინარე გუმისთაზე საკმაოდ მშვიდად ჩაიარა, მოწინააღმდეგე მხოლოდ 15 საათიდან გააქტიურდა და ჩვენი პოზიციების მიმართულებით გახსნა ცეცხლი ნაღმსატყორცნიდან, ამასთან, წინა ხაზზე გამოიყვანა რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკაც. მოწინააღმდეგის გააქტიურებისთანავე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს სრული საბრძოლო მზადყოფნა და დაუყოვნებლივ გახსნეს საპასუხო საარტილერიო ცეცხლი. პოზიციური ბრძოლა საათნახევარს გაგრძელდა. ამ ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ. მცირე ხნით გააქტიურდნენ სნაიპერები, რომელთა ტყვიითაც დაიჭრა 1 ჩვენი მებრძოლი.

18 საათისთვის, როდესაც ფრონტის ხაზზე საბრძოლო მოქმედებანი არ მიმდინარეობდა, რუსმა სამხედროებმა წამოაყენეს მოულოდნელი მოთხოვნა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეეწყვიტათ ეშერის ლაბორატორიის დაბომბვა, ვითარების გარკვევის შემდეგ რუსებმა განაცხადეს, რომ ეს ცნობა მათ მეთვალყურეებმა მიაწოდეს.

მდინარე გუმისთაზე 6 აპრილსაც თითქმის სრული სიწყნარე იყო შენარჩუნებული, 19 საათისათვის კი მოწინააღმდეგემ ეშერის მიდამოებში მოახდინა მძიმე ტექნიკისა და ცოცხალი ძალის საკმაოდ მასშტაბური კონცენტრაცია და დაიწყო საბრძოლო მოქმედებანი, კერძოდ, გახსნეს ცეცხლი ტანკებიდან, ნაღმტყორცნებიდან, აქტიურად იყენებდნენ ყუმბართმტყორცნებსა და ავტომატურ იარაღს.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს საბრძოლო მზადყოფნა და გახსნეს საპასუხო ცეცხლი უპირატესად საარტილერიო საშუალებებიდან. მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილების თანმიმდევრული ჩახშობა დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა.

იმ დღესვე სოხუმში შედგა ტყვეთა გამცვლელი სამხედრო კომისიის წევრთა შეხვედრა გუდაუთის დაჯგუფების წარმომადგენლებთან. საუბარი შეეხო საომარი ზონიდან საფრთხეში მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანის საკითხს. განხილული იქნა აღნიშნული პროცესის ტექნიკური მხარეც.

ამასთან ტყვეობიდან განთავისუფლებულნი იქნენ ხვინერ „გაგრის" ეკიპაჟისა და მგზავრების დარჩენილი ნაწილიც, ხულ ხუთი ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგელია სოხუმის მისალგომებთან

სოხუმი გაუტეხელია — ასეთ სიტყვებს გაიგონებთ დღეს ყოველ შეხვედრა-საუბარში საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მქანიზებული ბრიგადის მეომრებს შორის და ქვეყნის ამ ულამაზესი მხარის ქალაქ სოხუმის ხალხმრავალ ქუჩებში. ჯარისკაცებისა და რიგით მოქალაქეთა თვალებში შიში არ შეიმჩნევა, ყველა მობილიზებულია ერთი მიზნისათვის — დაიცვას საკუთარი ქალაქი და მისი შემოგარენი. დაცვა იქნება მანამ — სანამ სჭირდება და თუ აუცილებელი შეიქნა შეტევაზე გადასვლა; მაშინ ნახონ გუდაუთის მთავრობამ და მას მიტმასნილებმა რა შავი დღე დაადგებათ.

ამ გვერდზე მოთავსებული წერილები მოგვითხრობენ 15-18 მარტს, შემდგომ დღეებში სოხუმის მისადგომებთან აფხაზთათვის უაზრო, უპერსპექტივო ომის შესახებ. დე, იცოდნენ მოწინააღმდეგეებმა, რომ ბრიგადის მეომართა და მოსახლეობას შორის საბრძოლო განწყობილებაა. ჩვენ ვიცავთ ბაბა-ბაბათაგან ბემგვიდრეობით გადმოცემულ საკუთარ მამულს.

გმირობა, თავდადება

ჩვენი საკომენდანტო ასეულის პირადი შემადგენლობა ბრძანების მიღებისთანავე, უკლებლივ გაეშურა ფრონტის ხაზისაკენ. ეს იყო 16 მარტს, ადრე დილით.

ასეულის ერთ ჯგუფს გონივრულად გაუძღვა წინ მისი მეთაური ავთანდილ კიკალეიშვილი. ხოლო მეორე ჯგუფს კი ხელმძღვანელობდა ასეულის შტაბის უფროსი გოგი ქვილითაია. ისინი ყოველგვარი პანიკის გარეშე დინჯად და მოფიქრებულად შეუდგნენ საბრძოლო ოპერაციის ჩატარებას. დავალება კი იყო მოწინააღმდეგის შემოჭრილი ჯგუფის განადგურება, რომელიც მიემართებოდა ჩვენს არტილერიის საცეცხლე წერტილის განადგურებლად. მათ სწორედ დროზე გადაუღობა გზა ჩვენი საკომენდანტო ასეულის მებრძოლმა ჯგუფმა. ორისამ საათიანი საბრძოლო მძიმე ოპერაციის შემდეგ მოწინააღმდეგეს ძალა გამოეცალა და განაღგურებული იქნა, მომხდურთა ნაწილმა კი გაქცევა მოახერხა.

მოწინააღმდეგის განადგურებისათვის ბრძოლაში 16 მარტს სოფელ აჩადარაში აფხაზ ბოევიკთა მიერ დაკავებული სახლის განთავისუფლების დროს მის სარდაფში ერთ-ერთი პირველი შევარდა ლერი ვახტანგის ძე ასლანიკაშვილი, რომელმაც ხელყუმბარა შეაგდო და გაანადგურა მტრის საცეცხლე წერტილი. შემდეგ სახლის მეორე სართულზე მყოფთ შეებრძოლა და ამ უთანასწორო ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა და დაილუპა.

მღინარე გუმისთასთან მტრის მიერ გარღვეული პოზიციის გასანთავისუფლებლად ერთ-ერთი პირველი წავიდა წინ ავთანდილ ორესტის ძე თოდუა, რომელიც თანამებრძოლებს გასძახოდა- „მოყვევით“-ო. მოწინააღმდეგის ეს ჯგუფი გასრესილ იქნა. თვითონ ავთანდილმა მტრის ორ ბოევიკს დაუბნელა თვალები და გმირულად დაეცა.

შოთა შოთას ძე შარტავა ერთ-ერთი სახლის განთავისუფლების დროს, სადაც მოწინააღმდეგის ჯგუფი იყო თავშეფარებული, პირველი შევიდა იქ და თავის მეომრებს გზა გაუთავისუფლა სახლისაკენ, რომელიც განუწყვეტელი ტყვიით იცხრილებოდა. სწორედ აქ სასიკვდილოდ დაიჭრა და...

გამბედაობით და თავდადებით ო�მურაზ შამშეს ძე ფანჯაკიძემ თავის ოცეულს საშუალება მისცა თავისუფალი მოქმედებისათვის. მან გაანადგურა საცეცხლე წერტილი, საიდანაც ინტენსიურად ისროდნენ მოწინააღმდეგის ბოევიკები. ის ახლოს მიეცოდა საცეცხლე წერტილთან და უცბად გაანადგურა იგი. ამ დროს ის სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ თავის მეგობრებს მაინც ამხნევებდა. სამწუხაროდ ჭრილობა მძიმე აღმოჩნდა და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სოფელ აჩადარასთან მტრის ღივერსიულ ჯგუფს პირდაპირ შეეჯახა რობერტ დავითის ძე სანიკიძე. მომხდურებს გზა უკვე გადაკეტილი ჰქონდათ, რობერტი მტერს გმირულად შეებრძოლა და თავის მეგობრებთან ერთად, გაარღვია მტრის მიერ დაკავებული პოზიცია, სადაც ის თავად გმირულად დაეცა.

აჩადარაში მტერთან გმირული შეტაკების დროს დაიჭრნენ მიხეილ ზურაბის ძე ჩანტლაძე, ვახტანგ სერგოს ძე ბოკერია, ზური ბონდოს ძე ფიფია, მიხეილ მიხეილის ძე სალია, დიმიტრი ლევანის ძე არსენიძე...

აჩადარის ბრძოლებში ჩვენი ასეულიდან განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს და მტრის დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანეს ოცეულის მეთაურმა იოსებ ოთარის ძე ლაშხიამ, ალეერდი რაჟდენის ძე ჩემიამ, მალხაზ ომარის ძე ზოდელავამ, კახაბერ ალექსანდრეს ძე თოლორდავამ. თენგიზ ლევანის ძე ფიფიამ, ვალერიან იოსების ძე კეველიშვილმა, თენგიზ შალიკოს ძე მეტრეველმა, ნუგზარ პეტრეს ძე სიჭინავამ და სხვებმა.

ნაკლებად მწვავე როდი იყო მტერთან შეტაკება სოფელ შრომის ზეგანის უბანში. 16 მარტს იქ გმირულად დაიღუპა ლევან შაქროს ძე გვარამია. აქ მტერმა მოულოდნელად ალყა შემოარტყა ჩვენებს ოთხჯერ მეტი ძალით და გააჩაღა ბრძოლა. ამ უთანასწორო ბრძოლაში ლევანი მედგრად უტევდა მტერს და კიდევაც გამოასალმა სიცოცხლეს რამდენიმე ბოევიკი.

ოცეულს მტერმა ალყა შემოარტყა, ამ დროს წამითაც არ დაბნეულა თენგიზ მიტუშას ძე ადამია, უცებ სანგარში პოზიცია დაიკავა, ყუმბარსატყორცნი გაისროლა და ორი მოწინააღმდეგე მოცელა. ის გმირულად იბრძოდა, გონივრული მოქმედებით და თავგანწირვით გადაარჩინა თავისი მეგობრები.

ზეგანის ბრძოლების დროს დაიჭრნენ თამაზ იუზას ძე ჩხაბელიძე, ემზარ ნაჰარის ძე ჭეჭელავა, გია ბონდოს ძე წოწონავა.

მამულის ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში ყველა ჩვენმა მებრძოლმა უსაზღვრო ერთგულების, გმირული თავდადების მაგალითი უჩვენა.

ვაჟა კვარაცხელია.

საკომენდანტო ასეულის მეთაურის მოადგილე აღმზრდელობით დარგში.

ფრონტის წინა ხაზზე

არის სიტყვები, რომელთა ჟღერადობა ორმაგ ასოციაციას იწვევს ადამიანში. მათი ხშირი ხმარება სკეპტიკურად განაწყობს ჯანსაღად მოაზროვნე პიროვნებას, მაგრამ მათი ართქმაც არ ივარგებს, რადგან მაშინ გაჭირდება მოვლენების სწორი და ბეშმარიტად ობიექტური შეფასება.

სამშობლოს დაცვა რომ ყოველი მოქალაქის ფშიდათაფშიდა ვალია — ქართველ კაცს აკვნიდან ესმის. ასევე საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ისტორია არის განუწყვეტელი ჯაჭვი გმირული ბრძოლებისა, სამშობლოსადმი თავდადებისა და ერთგულებისა. ცხოვრებაში ადამიანს უდგება წუთები, როდესაც თავგანწირვის ფასად უნდა დაიცვას საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობა და მომავალი თაობების ბედნიერება. მაგრამ ამ სიტყვების რვალურად შეგრძნება არ ძალუძს ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა ერის წინაშე, ვისთვისაც მამული ცარიელი სიტყვაა და მეტი არაფერი, ვისაც პირადად არ განუცდია. რომ მის უკან დგას მშობლიური ქალაქი, ქვეყანა და მის პირად მამაცობაზეა დამოკიდებული ხალხის ბედ-იღბალი.

საბედნიეროდ, ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მრავალად ყოფილან სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილები, რომელთაც ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლაში გასწირეს საკუთარი სიცოცხლე, სწორედ ასეთი ვაჟკაცების ძალისხმევამ მოიყვანა დღემდე ჩვენი ერი და ქვეყანა.

განსაკუთრებით სასიხარულო და საამაყოა, რომ ასეთი გმირები დღევანდელ საქართველოს უამრავი ჰყოლია. დიახ, სწორედ რომ გმირები, რადგან სხვანაირად ვერ შეაფასებ იმას, რაც გაიკეთა უაღრესად ექსტრემალურ სიტუაციაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის დაცვის ასეულმა (ასმეთაური, უფრ. ლეიტენანტი რევაზ ზარია) 15-18 მარტის მძიმე დღეებში. მიიღო რა სასწრაფო საბრძოლო დავალება, ასეული დაიყო ოპერატიულ ჯგუფებად და შეუერთდა ფრონტის წინა ხაზზე მდგარ მებრძოლებს. 35-კაციანმა ერთმა რაზმმა, გაძლიერებულმა კორპუსის ოფიცრებით, აჩადარას ხიდის მიდამოებთან დაიკავა პოზიცია. რითაც მდინარეზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს არ მისცა საშუალება განეხორციელებინა წინსვლა ქალაქის მიმართულებით. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა კორპუსის საავტომობილო სამსახურის უფროსი, მაიორი იური ფარცვანია, რომლის პირადმა მამაცობამ და თავდადებამ საბრძოლველად განაწყო მეომრები. მეთაურმა კრიტიკულ სიტუაციაში გამოამჟღავნა სამხედრო საქმის ღრმა ცოდნა და ისე გახალგა მეომრები, რომ მტერს შეტევის განხორციელების საშუალება არ მისცემოდა. გონივრული და გააზრებული მოქმედებით თავი გამოიჩინა ოცეულის მეთაურმა მერაბ კარტოზიამ, რომელიც მხარში მედგრად ედგა იურის, როგორც მისი თანაშემწე და ყოველ წუთს მზად იყო შეეცვალა იგი.

მტერთან შეტაკებაში უკლებლივ ყველა მებრძოლმა გამოამჟღავნა უდრეკი ხასიათი და დაკისრებული მოვალეობისადმი ერთგულება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოცმეთაურის მოადგილე კიაზო ცხვიტავა, ეს დაუშრეტელი ენერგიის მქონე ადამიანი, რომელმაც შვილთან ტიმოთე ცხკიტავასთან, ომარ მარღანიასა და გია ოდიშარიასთან ერთად გაანადგურა ქვეითთა საბრძოლო მანქანა ეკიპაჟითურთ, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ესროდა ჩვენს პოზიციებს და მიახლოების საშუალებას არ აძლევდა მებრძოლებს.

ასეულმა, უკვე მერამდენედ, წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას, მტერს უკან დაახევინა და დიდი ზარალი მიაყენა. სამშობლოსათვის თავი გასწირეს და ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ ასეულის მებრძოლები: თემურ გორგენიძე, ვახტანგ კიკვაძე, თამაზ ბასილაია. საქართველო არ დაივიწყებს მათ სახელებს.

მამაცობითა და თავგანწირვით გამოირჩეოდნენ ასევე ასეულის მეთაურის მოადგილე აღმზრდელობით დარგში ალბერტ ჯანელიძე, ოცეულის მეთაურის მოადგილე ხვიჩა სარია, ათეულის მეთაური ზაურ ხურცილავა, ყუმბარმტყორცნელი ნუგზარ სოხაძე, მეომრები: მამუკა სიმონია, ზაზა კარტოზია, ბადრი მეხუზლა, მურმან კაჭკაჭიშვილი, კალერი პაპავა, რაულ მიქავა, ალექსანდრე ცხაკაია და სხვები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად მზად იყვნენ ნებისმიერი დავალების შესასრულებლად.

ესენი არიან საქართველოს უბრალო და უპრეტენზიო მოქალაქენი, სახელდახელო ომში დავაჟკაცებული მეომრები, რომლებმაც მკერდით დაიცვეს მშობლიური მიწა-წყალი და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ქართველი ჩალხი, ვაჟკაცობისა და თვითშეწირვის სიმბოლოა.

სწორედ ამგვარი შემართების ახალგაზრდებმა უნდა ჩაუყარონ საფუძველი ჩვენს ეროვნულ ჯარს, აღუდგინონ მას ძველი დიდება და ღირსეულად ატარონ ქართული მხედრული დროშა.

ზურაბ დადიანი.

მე-2 საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსის მოადგილე, კაპიტანი.

პოზიციები აღვადგინეთ

16 მარტს შუაღამისას სამხედრო განგაშის ხმაზე, როგორც ერთი კაცი, ყველა ასეულის საველე შტაბში შეეკრიბეთ, გარდა იმ მეომრებისა, რომლებიც წინა ხაზზე საბრძოლო პოზიციებზე იყვნენ. ბატალიონის მეთაურის სატელეფონო საუბრიდან გავარკვიე რომ, აფხაზი ბოევიკები შეტევაზე გადმოსულიყვნენ და უნდა მივშველებოდით მესამე ასეულს, რომელსაც დიდძალი რაოდენობის მტერი უტევდა.

მეოთხე ასეულის მეთაურმა, რომელიც ჩვენს ყაზარმაში მოვიდა გასცა ბრძანება შემოგვეერთებია მეზობელი ოცეულის ჯარისკაცები და გადაგვეკეტა ახალი რაიონის ამოსასვლელი გზები. პოზიციის დაკავება ბრძოლით გვიხდებოდა — ჩასაფრებული მტერი ცეცხლს გვიშენდა. შემოტევას ორმაგი დარტყმით ვუპასუხეთ და აფხაზი ბოევიკები იძულებულნი გახდნენ ცეცხლი შეეწყვიტათ და ეძებნათ თავშესაფარი, მაგრამ ჩვენს ნასროლ ტყვიას ვერ დაემალნენ და მოცელილნი ეცემოდნენ.

ახალი რაიონის გარაჟის ასასვლელთან ჩვენი მეომრები შემოგვხვდნენ და გვითხრეს მარჯვენა მხარეს ამოსასვლელში მტრის დიდი ჯგუფი შეგროვილიყო და იერიშზე აპირებდა გადმოსვლას, მაგრამ ისინი სანამ ოპერაციის გეგმას გადაწყვეტდნენ ჩვენ შავნაბადას მებრძოლებთან ერთად დავუშინეთ ცეცხლი და მათგან თითქმის ყველა ამოწყდა.

გათენდა თუ არა ბრძოლის ველზე მომხდურთა ჭაჭანება არ იყო, ისინი მიმალულიყვნენ ციტრუსოვანთა პლანტაციებში, ადგილობრივ მკვიდრთა საცხოვრებელ სახლებში. ამასობაში მივიღეთ ბრძანება, რომ წავსულვიყავით მდინარე გუმისთის ნაპირებისაკენ და დაგვეკავებია პირვანდელი პოზიციები. ბრძოლით მივიწევდით წინ. მტრის ცოცხლად დარჩენილი მეომრები ტყვედ არ გვნებდებოდნენ და იძულებული ვიყავით სასასუხო ცეცხლით დაგვეხოცა.

პოზიციების აღდგენის შემდეგ მეორე-მესამე დღეს ვაწარმოეთ გაწმენდითი ოპერაციები და მტრის გეგმა ჩაიფუშა. მომავალშიც ასე იქნება, თუ გუდაუთელთა მთავრობის მოწოდებით კვლავ გადმოვლენ უაზრო შეტევაზე.

ჯონი გოგლიძე,

მეორე ბატალიონის მეოთხე ასეულის მესამე ოცეულის მეთაურის მოადგილე.

„ურჩქელთა სახლებს დაგვპირდნ ნ“

საზიზღარი და საძაგელია დაქირაველები მკვლელი, მაგრამ მილიონჯერ უფრო საძაგელი და საზიზღარია მისი დამქირავებელი.

აფხაზ სეპარატისტებმა ჩვენი ოჯახის, ჩვენი საერთო სახლის კედლებს ბევრი ბზარი გაუჩინეს და მის გასამაგრებლად კი არა, მისი საძირკვლის დასანგრევად მოიწვიეს მთიელი „ძმები“.

ი. ერთ-ერთი აფხაზი „ძმების“ მიერ საძაგელი დაქირავებული მკვლელის დაკითხვის ოქმიდან ამონაწერი, რომელიც სრულად მოჰფენს ნათელს აფხაზური კონფლიქტის საკითხებს.

„ბ. მაგომედოვი მაგომედ მურსალ ძე, დაღესტნის რესპუბლიკის კიზილიურტოვის რაიონის სოფელ აჯიდალაში 1963 წელს დაბადებული, ჩამოვედი გუდაუთაში... რომ მიმეღო მონაწილეობა ქართველების წინააღმდეგ ომში.

აფხაზეთში ჩემი ჩამოსვლის მიზანი იყო, როგორც მე დამპირდნენ. მიმეღო ქართველის პირადი უთვნილი საცხოვრებელი სახლი, აფხაზეთიდან ქართველების განდევნის შემდეგ.

გუდაუთაში ჩვენ კარგად შეგვხვდნენ, მოგვაწყვეს პანსიონატში, საღაც ძირითადად იყვნენ ჩეჩნები. გვითხრეს მანამდე დაგვეცადა აქ, სანამ საბრძოლველად არ გაგვგზავნიდნენ. ჩვენთან მოდიოდნენ აფხაზები „სახალხო პარტიის“ წარმომადგენლები და მადლობას ვეცხადებდნენ. დაგვპირდნენ — შეგვაიარაღებდნენ და ქართველების განდევნის შემდეგ მოგვეცემდნენ ქართველის სახლს. ადიღელებისა და ჩეჩნებისაგან გავიგე, რომ ისინი ომის დაწყებამდე ჩამოსულნან აქ.

„მოხალისეებს“ ეფერებოდნენ, მადლობას ეუბნებოდნნ, მათ პირდებოდნენ ყველაფერს, მაგრამ არ ენდობოდნენ...

ჩვემთან მოვიდნენ მთიელ ხალხთა კონფედერაციიდან ქალები და დაგვპირდნენ ფულს, კვების პროდუქტებს, შეიარაღებას, ტანყვას...

ყველა „მოხალისემ“ და მათ შორის მეც, ხელი მოვაწერეთ განცხადებას აფხაზური გვარდიის პოლკში „მოხალისედ“ შესვლის შესახებ, რომელშაც ჩაწერილი იყო, რომ ღალატის შემთხვევაში ჩვენ დახვრეტილი ვიქნებოდით....“

ი. ასე, ან მოკალი და ჩასახლდი ქართველის სახლში, ან თვითონ — კეღელნან... ძალიან პოპულარულად და ცივილიზებულად.

საფარად გაჭოიყენეს

აფხაზ ექსტრემისტ-სეპარატისტთა ძალები უფრო და უფრო სუსტდება, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ისინი დარბიან ადლერში, სოჭში, სხვა რაიონებში და ეაჭეგენ გუდაუთიდან, ვაგრიღან გაქცეულ აფხაზ, სხვა ეროვნების მამაკაცებს და მუკარით აბრუნებენ უკან რათა ჩაებან ქართველთა წინააღმდეგ ომში.

ახლა იმდენად უჭირთ გუდაუთელ აფხაზ „მოძღვარებს“, სამხედრო „სტრატეგებს“, რომ ყოველ ღონეს ხმარობენ უკანასკნელ ომოსუნთქვამდე. ამისი უამრავი ფაქტი გვაქვს ხელთ. ჩვენ ერთ-ერთ უკაცურ მოქმედებაზე მოგითხრობთ.

— სერგეი ალექსანდრეს ძე ბროლოვი დაბადა ლენინგრადში 1977 წელს. ის ორი წლის წინათ ახალ ათონში ჩამოიყვანა დედინაცვალმა, ვითომ კავკასიის გასაცნობად. ამორალური ქცევის ქალი პასუხისგებაში მისცეს... 13 წლის ბავშვი უპატრონოდ დარჩა და პირუტყვის მწყემსად, ხელზე მოსამსახურედ იყო ხან ერთ, ხან მეორე აფხაზის სახლში. ამ რამდენიმე დღის წინ ის გუდაუთაში გამოიჭირეს აფხაზმა სამხედროებმა და უთხრეს — ქალაქში ჩაგწერთ, ბინას მოგცემთ თუ პატარა საქმეში დაგვეხმარებიო, წამოხვალ ჩვენთან და ისე იელი როგორც ჩვენ გეტყვით, თუ არა, დაუბრიალეს თვალები. შეშინებული მოზარდი იძულებით დათანხმდა „კეთილ“ ჩინიანებს.

სერგეისავით მოექცნენ მოზარდს, შუბარაში მცხოვრებ იურა ანასტასიადის. მათ დაავალეს ეველოთ წინ ფრთხილად და თუ საშიშროება შეემთხვეოდათ, ეცნობებინათ „მზრუნველი“ ძიებისათვის. ამ მეთოდით ამოვიდნენ ხოხუმჭესის მახლობელ აღგილს. აფხაზებმა ამ ტერიტორიის ნახაზები გააკეთეს. ღამე იქვე ფარდულში გაათიეს. 31 მარტს აფხაზებმა სერგეის მისცეს ყუმბარმტყორცნი, იურას — ხელყუმბარა და დაავალეს აეფეთქებინათ პირველი გამომვლელი მანქანა; დავალების შეუსრულებლობა სიკვდილით ისჯებოდა. თავად „კეთილი“ ადამიანები ვითომ მიიმალნენ.

ს. ბროლოვმა და ი. ანასტასიადიმ შეასრულეს დავალება — პირველ გამომვლელ მანქანას ესროლეს, მაგრამ მიზანში ვერ მოახვედრეს... ამ ადგილას 20 წუთში ქართველი ჯარისკაცები მოვიდნენ. ი. ანასტასიადი გაუჩინარდა. ხოლო დაჭრილი სერგეი სოხუმის საკადმყოფოში მოათავსეს და მკურნალობენ.

ასე ომობენ აფხაზები — არად დაგიდევენ მოზარდების სიცოცხლეს — მოსალოდნელი საშიშროებისას, სხვა ერის წარმომადგენლებს საფარად იყენებენ, ატყუებენ, არაადამიანურად ექცევიან, საკუთარ თავს ღალატობენ. სანამდე ასე?

რედაქტორი
იპოლიტე ხუგუა.

ჯამგულ (კოხტა) სვანიძე

რითი ვინუგეშოთ თავი, როდესაც ამდენი ვაჟკაცი გვეცლება ხელიდან. როგორ შეეგუოთ ყოველივე ამას, როგორ ვაპატიოთ მტერს ეს წმინდად დაღვრილი სისხლი.

21 მარტი საბედისწერო გამოდგა შენთვის. კატასტროფაში მოყვევი, ბატალიონისკენ რომ მიიჩქაროდი. აფხაზეთში ომის გაჩაღების დღიდან ჩადექი მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად, მსახურობდი I ბატალიონში. ვაჟკაცობაში ვერავინ შეგეცილებოდა. ერთ ბატალიონში იბრძოდით ძმები. ერთად იცავდით ქართულ მიწას.

კოხტა ბიჭო, რით უნდა ვანუგეშოთ შენი დედ-მამა, შენი დაძმა, შენი დისშვილები და ძმისშვილები, რომლებიც ეფერ[illegible] ყვარდა. რა დიდსულოვანი იყავი, ვაჟკაცური სულის პატრონი. შენს 23 წელში ჩაატიე ყოველ სიკეთე, სითბო, სიყვარული, რომელსაც ყველგან ანაწილებდი. შენ ხომ ოჯახის შექმნაც ვერ მოასწარი.

კოხტას გეძახდნენ და მართლაც კოხტა ბიჭი იყავი. შენი ვაჟკაცობით და სიკოხტავით ამშვენებდი ამ წუთისოფელს და ახლა მარადისობა გელის ცათა საუფლოში.

მსუბუქი ყოფილიყოს საქართველოს მიწა, შენთვის, კოხტა!

თანამებრძოლები

ლევან თოდუა

კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე დაიფერფლა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში. საბედისწერო 16 მარტს მდინარე გუმისთასთან აღესრულა ლევან შოთას ძე თოდუას სიცოცხლე.

სულ 26 წლის იყო. როცა საჭირო შეიქნა, იგი დაუფიქრებლად გაეშურა მეგობრის გადასარჩენად. სუმგაითისა და ბაქოს ტრაგედიის მომსწრე ტანკისტი ვაჟკაცი აქ, საკუთარ მიწა-წყალზე შეიწირა მტრის მუხანათურმა გასროლამ.

ქართველი კაცის სისხლხორცეული თვისებაა მოყვასისათვის თავგანწირვა. ლევანმა საკუთარი სიცოცხლე არად ჩააგდო ერის საკეთილდღეოდ. მამით ობოლმა სათაყვანებელი მამის შეგონება შეასრულა—მტერს გმირულად შეხვდა და დაამარცხა.

ლევან! შენ ყველას მახლობელი იყავი. თავმდაბალი, თბილი, ლიმილიანი, თვინიერი, ბავშვივით მიამიტი, ამავე დროს გონიერი, უაღრესად განათლებული, საოცრად ჰარმონიული პიროვნება. სწორედ შენზეა ნათქვამი: „ვაჟკაცი ამო-გემო სჯობს, რო გაჭირდება მჭეხარი“.

იძინე მშვიდად. ვფიცავთ, რომ შენი სათაყვანებელი ქართული მიწის არც ერთ გოჯს მომხდური არ დაეპატრონება.

თანამებრძოლები



გურამ ბახტაძე

კიდევ ერთი გულანთებული ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეწირა ერთიანი საქართველოსათვის აფხაზეთში გაჩაღებულ ომს. 16-17 მარტს გუმისთის მიმსადგომებთან ბევრს უმუხთლა ბედმა და მათთან ერთად სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ, ფაქიზი სულის ადამიანს გურამ ბახტაძეს.

გურამ, შენმა დაღუპვამ შეგაძრა, ვერაფრით ვაცნობიერებთ, რომ ვეღარასოდეს გიხილავთ შენი თბილი ლიმილით, შენი ვაჟკაცობით, გულკეთილობით თუ მიამიტობით.

წებელდელი ჭაბუკი, წუთითაც არ დაფიქრებულხარ ისე ჩადექი ბაღმარანის ბატალიონის რიგებში, რათა დაგეცვა შენი მიწა-წყალი აფხაზი სეპარატისტებისა თუ გადამთიელი მტრებისაგან.

დაეცი კიდეც ბრძოლის ველზე, საიდანაც ეხოლოდ მეორე დღეს გადმოგასვენეს.

ვაი, რომ ტრაგიკულად გაგითენდა მარტის თვე. დაამბლე შენი ხუთი და შვიდი წლის გოგონები. ცალად დატოვე მეუღლე. მწარე სევდად დარჩი დაძმას.

არასოდეს დაგივიწყებს შენი მეგობრები, გულრიფშის ციტრუსების მეურნეობის თანამშრომლები, რომლებსაც ძალიან უყვარდი და პატივს გცემდნენ, როგორც სიცოცხლის მოყვარული, ხალისიანი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა.

ყველას ტკივილი ხარ, გურამ. მთელი საქართველო გულთან მიიტანს შენს სიკვდილს, რომეთუ ქართულ მიწას ანაცვალე თავი შენი.

მწარე მოგონებად გვრჩები მეგობრებს, მაგრამ საამაყოდ გვეყოლები მუდამ სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცი.

მსუბუქი ყოფილიყოს ის მიწა შენთვის, რომლისთვისაც დაღვარე სისხლი.

თანამებრძოლები

თენგიზ ადაჟია

საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა სამშობლოს უსაზღვროდ მოსიყვარულე ბიჭი თენგიზ ადამია.

ის მხოლოდ 26 წლის იყო. ეს ის ხანაა, როცა ადამიანი ცხოვრების ფართო გზაზე გამოდის და იწყებს თავისი ოცნებების განხორციელებას. თენგიზს კი ოცნებები ნათელი ჰქონდა, სამშობლოს კეთილდღეობისკენ მიმართული.

ის ოცნებობდა შეექმნა ნამდვილი ქართული ოჯახი, გაეზარდა მასავით სამშობლოს მოსიყვარულე შვილები, ოცნებობდა თავისი ალალი შრომით მოკრძალებული წვლილი შეეტანა თავისუფალი საქართველოს აყვავების საქმეში. მაგრამ განგებამ შეგნებული ცხოვრების დასაწყისშივე შეწყვიტა მისი სიცოცხლე.

მთელი კოლექტივი მას იცნობდა, როგორც სერიოზულს, თავისი საქმის მცოდნეს, სწორედ მან ბოლომდე შეასრულა თავისი მოვალეობა. სამშობლოს წინაშე და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

თენგიზის სახით ოჯახმა დაკარგა მოსიყვარულე შვილი და ძმა, ბატალიონმა საუკეთესო, ვაჟკაცი მებრძოლი, ქვეყანამ შრომისმოყვარე, სერიოზული, პერსპექტიული მომავალი მეცნიერი.

ძვირფასო თენგიზ, ჩვენ ყოველთვის გვეხსომება შენი კეთილი, მოკრძალებული ღიმილი, — შენი სითბო. შენი სახელი უკვდავია აწ და მარადის. ნათელში გამყოფოს ზეციერმა.

თანამებრძოლები

გაზეთი იბეჭდება აფხაზეთის პოლიგრაფიული გაერთიანების საბაზეთო სტამბაში, ფრუნზეს ქ. № 9.